

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან არსებული მერქნული მასალების დამზადების და დამუშავების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი




ცენტრის ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ზაურ ჩიტბე

ცენტრის ძირითადი მიზანია თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების მიღწევებზე დაყრდნობით სამეცნიერო კვლევების ჩატარება. მერქნული მასალების დამამზადებელი და დამამუშავებელი ახალი ხელსაწყოების, ინსტრუმენტების, ჩარხ-დანადგარების და მაღალხარისხოვანი ექსპერიმენტული ავეჯის დამზადება და საპილოტო ნიმუშების შექმნა.

ცენტრში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები.

- თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღწევებზე დაყრდნობით სამეცნიერო თემების დამუშავება, მათი თეორიული და პრაქტიკული შესრულების მაღალი დონის უზრუნველყოფა;
- მერქნული მასალების დამამზადებელი და დამამუშავებელი ახალი ხელსაწყოების, ინსტრუმენტების და ჩარხ-დანადგარების გაანგარიშება, დაპროექტება, დამზადება;
- ტექნიკური პასპორტების შედგენა ექსპლუატაციაში მყოფ ხელსაწყოებზე და საქართველოს კანონებთან შესაბამისობაში მათი მოყვანა;
- მერქნული მასალების დამამზადებელი და დამამუშავებელი საწარმოების ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალის კონსულტირება;
- ხე-ტყის მრეწველობის წარმოებაში დასაქმებული პერსონალის სწავლება-გადამზადება და პროფესიული სწავლების პედაგოგთა მომზადება-გადამზადება;
- წარმოებისა და მოსახლეობის საჭიროებისათვის მაღალკვალიფიციური ექსპერტიზების ჩატარება;
- მაღალხარისხოვანი ექსპერიმენტული ავეჯის შეკვეთით პროექტირება და საპილოტო ნიმუშების დამზადება, რომელიც დაფუძნებულია როკოკოს, ბაროკოს, რენესანსისა და იუგენსტილის ტიპებზე, ასევე შეკვეთით ახალი ექსპერიმენტული კარ-ფანჯრებისა და სხვა ავეჯის პროექტირება და საპილოტო ნიმუშების დამზადება.

რთულპროფილიანი სივრცითი დეტალების მოსაჭრელი ჩარხ-დანადგარი და მისი საშუალებით წარმოებული პროდუქცია აწყობილ მდგომარეობაში.







სალშენადნობიანი და ლეგირებული ფოლადებისაგან დამზადებული, ტიტანის ნიტრიდით დაფარული მერქნული მასალების დასამუშავებელი ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენებიან ფურცლოვანი და ფილოვანი მერქნული მასალების, მოპირკეთებული ფილებისა და ფარების, შეწებილი და მასიური მერქნის, ალუმინისა და სხვადასხვა პლასტიკატების დასამუშავებლად.

